# კოლოკვიუმი 1. პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური პროცესების ანალიზის ისტორიული, მეთოდოლოგიური და თეორიული ჩარჩო


დოქტორანტი **ლაშა შამათავა**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა


სადისერტაციო თემა: **"პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური განვითარების პრობლემები და პერსპექტივები"**


სამეცნიერო ხელმძღვანელი: **თამარ კიკნაძე**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
კსუ ასოცირებული პროფესორი


**თბილისი 2020**

# სარჩევი

**შესავალი** 3

**თავი 1. პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური პროცესების ანალიზის ისტორიული, მეთოდოლოგიური და თეორიული ჩარჩო** 7

**1.1 საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებები და ქართველების აღქმა თავიანთი როლის შესახებ გლობალურ სამყაროში** 7

**1.2 საერთაშორისო ასპარეზზე პატარა ქვეყნების ქცევის მოტივაციის შესახებ თეორიული საფუძვლები (სტივენ უოლტის მიხედვით)** 19

**1.3 პოსტ-საბჭოთა სივრცის ტრანსფორმაცია, ტრანზიციის პროცესი და მისი განზომილებები** 25

**1.4 კვანტური რელატივისტური ნოოლოგია და ოპტიმალიზმის დოქტრინა** 28

**1.5 თვისობრივი კვლევა საქართველოს სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თემაზე** 31

**დასკვნა** 32

**ბიბლიოგრაფია** 33

**დანართი** 44

**დანართი №1. ერთა კლასიფიკაცია და მათი შესაბამისი პარამეტრები ფსიქიკური სტიქიების მიხედვით** 44

**დანართი №2. კითხვარები** 45

**2.1 კითხვარი ეკონომისტებისთვის** 45

**2.2 კითხვარი კონსტიტუციონალისტებისთვის** 46

**2.3 კითხვარი პოლიტიკის სპეციალისტებისთვის** 47

**პირველი თავის 2020 წლის ივნისის ვარიანტი:**

1.1. საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებები და ქართველების აღქმა თავიანთი როლის შესახებ გლობალურ სამყაროში

1.2. თეორიული საფუძვლები საერთაშორისო ასპარეზზე პატარა ქვეყნების ქცევის მოტივაციის შესახებ (სტივენ უოლტის მიხედვით)

1.3. გლობალური ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკაში და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

# შესავალი

20 საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში 100-ზე ნაკლები სუვერენული სახელმწიფო არსებობდა, ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისში მათი რაოდენობა უკვე აჭარბებდა 190-ს და ჯერ-ჯერობით ჩანს, რომ ეს რაოდენობა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში კიდევ გაიზრდება - სუვერენიტეტის გზას ადგას ან მისთვის იბრძვის 50-მდე სუბიექტი, მათ შორის: მაკაო, ჰონგ-კონგი, ტაივანი, კატალონია, შოტლანდია, აფხაზეთი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ 20-ე საუკუნის ბოლო დეკადაში, მხოლოდ სსრკ-ის, იუგოსლავიის და ჩეხოსლოვაკიის დაშლის შედეგად შეემატა მსოფლიოს 20-ზე მეტი ახალი სუვერენული სახელმწიფო. ამასთანავე ბოლო 30 წლის მანძილზე ახლად შექმნილი სუვერენული სახელმწიფოებიდან თითქმის ყველა (რუსეთის ფედერაციის და კიდევ 1-2 გამონაკლისის გარდა) წარმოადგენენ პატარა ქვეყნებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება პატარა ქვეყნის ფენომენის შესწავლის საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქვეყნის, როგორც ტერმინის დეფინიცია დღემდე პრობლემურია, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო წარმოადგენს პატარა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს.

საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის[1] შედეგების საფუძველზე. აუცილებლად ხაზგასმით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 90%-ზე მეტმა და ვინც მიიღო მონაწილეობა, მათგან 99%-ზე მეტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას.

მიუხედავად ასეთი ერთსულოვნებისა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში, ძალიან მალე საქართველოში ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომს, რომლის შედეგად ძალაუფლება დაკარგა მოქმედმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებზე რამდენიმე თვით ადრე გაიმარჯვა 87%-ით.

[1] https://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_დამოუკიდებლობის_აღდგენის_რეფერენდუმი_(1991)

ამ კონტექსტში აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვერც ედუარდ შევარდნაძემ ჩაამთავრა თავისი მეორე საპრეზიდენტო ვადა, მიუხედავად იმისა, რომ 2000 წელს არჩეულ იქნა თითქმის 80%-ით.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დღეს საქართველოში ვერ ჩამოდის საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა 96%-ზე მეტით.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში დარეგისტრირდა 300-ზე მეტი პოლიტიკური პარტია. აქედან 100-მდე პარტია დღესაც მეტ-ნაკლებად აქტიურია და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მონაწილეობის მიღებას აპირებდა. საბოლოოდ ამ არჩევნებზე მონაწილეობა მიიღო 55-მა პარტიამ (50 საარჩევნო სუბიექტმა - 48 პარტიამ და 2-მა საარჩევნო ბლოკმა, რომელშიც ირიცხებოდა 7 სხვადასხვა პარტია)[2].

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ პროცესებთან და საკითხებთან დაკავშირებით მეცნიერული აზრი პრაქტიკულად არ ჩანს. თავად პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტებიც კი, პოლიტიკურ თემებზე მსჯელობისას ძირითადად ნორმატიულ ლექსიკას იყენებენ.

ამავე დროს, ათეულობით ე.წ. პოლიტიკის ექსპერტია ჩართული სიტუაციის ანალიზსა თუ გამოსავლის ძიებაში, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მნიშვნელოვნად წავიწიეთ წინ და ჩვენი პოლიტიკური კულტურა რაიმე ახალ, მაღალ ნიშნულზე ავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში 150-დან ჯამში 60 მანდატი მიიღო, ხოლო დასავლეთის ქვეყნები ღიად მოუწოდებენ მათ შევიდნენ პარლამენტში და იქიდან გააგრძელონ პოლიტიკური ბრძოლა, ჩვენი ოპოზიცია პრაქტიკულად ერთხმად უარს ამბობს პარლამენტში შესვლაზე და თავის გადაწყვეტილებას ასაბუთებს იმით, რომ მათი აზრით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააყალბა არჩევნების შედეგები.

ამავე დროს არსად ჩანს ამ მოსაზრების უტყუარი მტკიცებულება, თუმცა, დღეს ვერც ერთ ოპოზიციონერ პოლიტიკოსს და ვერც მათ მხარდამჭერებს ვერც კი

---

2 https://cesko.ge/res/docs/16.10..2020_განცხ.წარდგ.რეგისტრ.საარჩ.სუბიექტები_რიგითინომრები-ჩასწორებული.pdf

დაელაპარაკები ამ თემაზე – ნამდვილად გაყალბდა თუ არა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები – მათ დაიჯერეს, ირწმუნეს ეს და, როგორც ცნობილია, რწმენას კონკრეტული მტკიცებულებები ნაკლებად სჭირდება.

პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს დღეს აქვს არაერთი გადაუჭრელი ფუნდამენტური პრობლემა:

- ტერიტორიული მთლიანობა;
- ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე;
- სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი დონე;
- ინფრასტრუქტურული განუვითარებულობა (განსაკუთრებით საგრძნობია რეგიონებსა და პერიფერიებში);
- მაღალი კლასის პროფესიონალთა დეფიციტი;
- და ა.შ.

უფრო კონკრეტულად, დღეს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით ერთ სულზე გაანგარიშებით მსოფლიოს ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია, ასევე საშუალოზე უარესია ჩვენი ქვეყნის ჯინის ინდექსი, წლების განმავლობაში მხოლოდ უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა ადამიანური განვითარების ინდექსი და ა.შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს, თუ რამდენად პრობლემურ მდგომარეობაშია პოლიტიკა საქართველოში – ადგილი აქვს მწვავე კინკლაობას და წინააღმდეგობებს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და მათ ლიდერებს შორის, ყველა მათგანი აცხადებს, რომ ის კარგია, სხვები კი ცუდი (თუმცა, დასაბუთებების გარეშე). ამავე დროს, ვერც ერთი კონკრეტულად არ ამბობს, რას იზამდა, ან როგორ გადაწყვეტდა ფუნდამენტურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბის პრობლემებს, თუკი მოვიდოდა ხელისუფლებაში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ეს ფაქტიც – პოსტსაბჭოთა პერიოდში (ბოლო 30 წლის მანძილზე) ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა თითქმის 2 მილიონით (1/3-ზე მეტით) შემცირდა.

ერთი სიტყვით, არ გამართლდა ის მოლოდინი, რომ საკმარისია მივიღოთ დამოუკიდებლობა (ეროვნულ–სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი), რამდენიმე წელიწადში საქართველო იქცევა წარმატებულ და განვითარებულ სახელმწიფოდ.

არადა, ქართველი ერი არის უძველესი ისტორიისა და კულტურის ერი, რომელმაც მსოფლიოს მისცა არაერთი კულტურული, სამეცნიერო და სხვა ტიპის მნიშვნელოვანი პროდუქტი, არაერთმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა პირდაპირი თუ ირიბი ფორმით მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ პროცესში.

მიუხედავად ქართველ პოლიტიკოსთა დაპირებებისა, სიტუაცია მნიშვნელოვნად არ იცვლება. თუ ამ ყველაფერს დავუმატებთ გეოპოლიტიკურ რისკ–ფაქტორებს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, იმყოფება მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში. ამ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ არც პოლიტიკოსებისგან, არც ანალიტიკოსებისგან თუ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისგან არ გვესმის რაიმე გამოსავალი, რომელიც მეცნიერულად იქნება დასაბუთებული. მაქსიმუმი რაც მათგან გვესმის – ავირჩიოთ ერთი გეოპოლიტიკური ვექტორი და თანმიმდევრულად მივყვეთ მას. მაგრამ არ ჩანს აკადემიურ დონის დასაბუთებები, რატომ უნდა ავირჩიოთ ეს გეოპოლიტიკური ვექტორი და რატომ უნდა ვთქვათ უარი სხვა ვექტორებზე.

# თავი 1. პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური პროცესების ანალიზის ისტორიული, მეთოდოლოგიური და თეორიული ჩარჩო

## 1.1 საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებები და ქართველების აღქმა თავიანთი როლის შესახებ გლობალურ სამყაროში

საქართველოს მოსახლეობა დღეს არის დაახლოებით 3.7[3] მილიონი კაცი, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობა - დაახლოებით 7800 მილიონი კაცი, შესაბამისად, საქართველოზე მოდის მსოფლიო მოსახლეობის 0.05%-მდე. მსოფლიოში სუვერენულ სახელმწიფოთა რაოდენობა არის დაახლოებით 195, ანუ 1 სუვერენულ სახელმწიფოზე საშუალოდ მოდის 40 მილიონი კაცი, რაც საქართველოს მოსახლეობაზე დაახლოებით 11-ჯერ მეტია[4].

საქართველოს ტერიტორიის ფართობი 69.7 ათასი კვადრატული კილომეტრია, დედამიწის ხმელეთის ფართობი - დაახლოებით 148,9 მილიონი კვადრატული კილომეტრი, შესაბამისად, საქართველოზე მოდის დედამიწის ხმელეთის 0.05%-მდე. გამოდის, რომ 1 სახელმწიფოზე საშუალოდ მოდის 763,5 ათასი კვადრატული კილომეტრი, რაც საქართველოს ფართობზე დაახლოებით 11-ჯერ მეტია[5].

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა - როგორც მოსახლეობის, ასევე ტერიტორიის ფართობის მიხედვით საქართველო პატარა სახელმწიფოა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი სახელმწიფოების რაოდენობა, რომელთა ფართობი საქართველოს ფართობზე მაქსიმუმ 3-ჯერაა მეტი (ანუ არაუმეტესია 209 ათას კვადრატულ კილომეტრზე), ხოლო მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობაზე მაქსიმუმ 3-ჯერაა მეტი (ანუ არაუმეტესია 11 მილიონზე) არის 100-ის ფარგლებში, ანუ პრაქტიკულად ყოველი მეორეა ასეთი.

---

[3] https://www.geostat.ge/ka
[4] https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_and_dependencies_by_population
[5] https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_and_dependencies_by_area

ამ მცირე ანალიზიდანაც ჩანს, რომ საქართველო კი არის პატარა სახელმწიფო, მაგრამ მისი შესადარი ზომისაა სახელმწიფოთა ნახევარზე მეტი.

არ შევუდგები სახელმწიფოს სიმცირის და სისუსტის განზოგადებულ ანალიზს სხვადასხვა პოზიციის მიხედვით, რამეთუ ეს ძალიან კარგად აქვთ უკვე გაკეთებული ბოლო 50 წლის მანძილზე სხვადასხვა მკლევარს, ხოლო ქართველმა მკლევარმა – ალექსანდრე რონდელმა ამ კვლევების ძირითადი პოზიციების ინტეგრაცია მოახდინა თავის მონოგრაფიაში „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“[6].

მეორე მხრივ, ძალიან საინტერესოა არა იმდენად ის, თუ რამდენია ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობა ან ტერიტორია, არამედ, რამხელა გავლენას ახდენს ესა თუ ის ქვეყანა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე, რამდენ სხვადასხვა დიდ თუ საშუალო ქვეყანაში ჰყავს მას თავისი ლობისტები და რას სთავაზობს ეს ქვეყანა დანარჩენ მსოფლიოს, პირველ რიგში სამეცნიერო და ტექნოლოგიური თვალსაზრისით.

თუ გავაკეთებთ ემპირიულ ანალიზს ეთნიკურ-კულტურული თვალსაზრისით, მაშინათვე ჩანს, რომ მაგალითად, სახელმწიფო ისრაელი[7], მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიით საქართველოზე პატარაა 3-ჯერ და მეტჯერ, ხოლო მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობაზე 2.5-ჯერ მეტი ჰყავს, მსოფლიო პოლიტიკაზე საქართველოსთან შედარებით წარმოუდგენლად მეტ გავლენას ახდენს. ისრაელის ზომის სხვა სახელმწიფოებიც არსებობს და თან არაერთი (შეიძლება ითქვას, რამდენიმე ათეული), მაგრამ ვერც ერთი მათგანის გავლენა ახლოსაც ვერ მივა ისრაელის გავლენის მასშტაბებთან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძალიან ბევრი ისრაელელი ან არაისრაელელი ებრაელია ნობელის პრემიის ლაურეატი, ზე-წარმატებული (მილიარდერი) ბიზნესმენი, წარმატებული სპორტსმენი, ხელოვანი, მუსიკოსი, მსახიობი, რეჟისორი და ა.შ.

და ეს ყველაფერი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისრაელი, როგორც სახელმწიფო ჯერ 70 წლისაც არ არის, არადა, არაერთი პატარა სახელმწიფო არსებობს, რომლებიც მასზე ასაკოვანიცაა, მეტია მოსახლეობითაც, ტერიტორიითაც, ბუნებრივი რესურსებითაც და ა.შ.

---

[6] რონდელი, ა. (თბილისი, 2009). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, გვ. 11-27
[7] https://en.wikipedia.org/wiki/Israel

ეს მცირე ანალიზიც ადასტურებს, რომ სულ სხვადასხვა რამ არის სახელმწიფო და ერი თუ ეთნოსი – მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი საკმაოდ ახალგაზრდა სახელმწიფოა, ებრაელ ერზე იგივეს ვერ ვიტყვით – ეს ერი რამდენიმე ათეულ საუკუნეს ითვლის და დღეს არსებულ ერებს შორის შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი უხუცესია.

საკმაოდ მხცოვანია ირლანდიელი ერიც, მაგრამ მათი სუვერენული სახელმწიფო დაახლოებით 100 წლისაა. ირლანდია[8] პირველ რიგში იმითაა აღსანიშნავი, რომ დღეს ევროპის ქვეყნებს შორის, თუ არ ჩავთვლით მინი-სახელმწიფოს – ლუქსემბურგს, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტით (მსყიდველუნარიანობის მიხედვით) ის ლიდერია და უსწრებს, როგორც შვეიცარიას, ასევე სკანდინავიის ქვეყნებს, არადა ეს ქვეყნები ამ მაჩვენებლით მსოფლიოს ათეულში არიან.

მხოლოდ ისრაელის და ირლანდიის მაგალითებიც აჩვენებს, რომ ერთია სუვერენული სახელმწიფოს ასაკი და მეორე ერი, რომელმაც შექმნა ის და საკმაოდ მცირე დროშიც შესაძლებელია ეროვნულმა სახელმწიფომ მიაღწიოს არსებით წარმატებას, თუ ის გაატარებს ოპტიმალურ პოლიტიკას.

საქმე იმაშია, რომ ისრაელი საქართველოზე ბევრად სახიფათო გარემოში იმყოფება, არაფერი რომ ვთქვათ იმაზე, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების შედარება არც კი შეიძლება – საქართველოს ეს რესურსები ისრაელზე მინიმუმ 10-ჯერ მეტი აქვს.

ისეთი ფენომენების შესწავლისას, როგორიცაა ერი და სახელმწიფო, გვერდს ვერ ავუვლით ქეის-სტადის მეთოდს. მსოფლიოში ათეულობით ქვეყანაა, რომლებიც ტერიტორიის ფართობით ან მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს შესადარია, ამავე დროს ეკონომიკური მაჩვენებლებით მასზე მინიმუმ ორჯერ არის წინ. მცირე სახელმწიფოების და ავტონომიური ერთეულების კონტექსტური ანალიზის შედეგად მივიღეთ, რომ 25-ზე მეტი წარმატებული სახელმწიფო ან ავტონომია შეიძლება შედარდეს საქართველოს:

[8] https://en.wikipedia.org/wiki/Republic_of_Ireland

| №№ | სახელმწიფო ან ავტონომია | მშპ ერთ სულზე მუპ, USD | მოსახლეობა | ფართობი, კვ. კმ. | შესაბამისობა შესადარებლად |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხორვატია | 27 681 | 4 058 165 | 56 594 | მაღალი |
| 2 | ლატვია | 30 579 | 1 896 000 | 64 559 | მაღალი |
| 3 | ლიეტუვა | 38 605 | 2 793 694 | 65 300 | მაღალი |
| 4 | უნგრეთი | 32 434 | 9 769 526 | 93 028 | საშუალოზე მაღალი |
| 5 | ჩეხეთი | 40 293 | 10 707 839 | 78 865 | საშუალოზე მაღალი |
| 6 | ირლანდია | 89 383 | 4 977 400 | 70 273 | საშუალოზე მაღალი |
| 7 | დანია | 57 781 | 5 837 213 | 43 094 | საშუალოზე მაღალი |
| 8 | სლოვაკეთი | 32 184 | 5 464 060 | 49 037 | საშუალოზე მაღალი |
| 9 | ესტონეთი | 37 033 | 1 328 976 | 45 227 | საშუალოზე მაღალი |
| 10 | სლოვენია | 38 506 | 2 100 126 | 20 273 | საშუალოზე მაღალი |
| 11 | სიცილია | 40 000 | 5 000 000 | 26 000 | საშუალოზე მაღალი |
| 12 | შოტლანდია | 45 000 | 5 500 000 | 79 000 | საშუალოზე მაღალი |
| 13 | სარდინია | 35 000 | 1 600 000 | 24 000 | საშუალოზე მაღალი |
| 14 | კორსიკა | 35 000 | 330 000 | 8 700 | საშუალოზე მაღალი |
| 15 | ბასკების ქვეყანა | 30 000 | 2 400 000 | 30 000 | საშუალოზე მაღალი |
| 16 | ავსტრია | 55 406 | 8 935 112 | 83 871 | საშუალო |
| 17 | საბერძნეთი | 29 045 | 10 718 565 | 131 957 | საშუალო |
| 18 | პორტუგალია | 33 131 | 10 295 909 | 92 226 | საშუალო |
| 19 | შვეიცარია | 68 340 | 8 655 100 | 41 284 | საშუალო |
| 20 | ბულგარეთი | 23 741 | 6 951 482 | 111 002 | საშუალო |
| 21 | ბელგია | 50 114 | 11 555 790 | 30 528 | საშუალო |
| 22 | პანამა | 30 034 | 4 278 500 | 75 417 | საშუალო |
| 23 | ისლანდია | 54 482 | 368 010 | 103 000 | საშუალო |
| 24 | კვიპროსი | 39 079 | 888 005 | 9 251 | საშუალო |
| 25 | მალტა | 43 087 | 514 564 | 316 | საშუალო |
| 26 | უელსი | 45 000 | 3 100 000 | 20 800 | საშუალო |
| 27 | კატალონია | 50 000 | 7 700 000 | 32 100 | საშუალო |
| 28 | ისრაელი | 39 126 | 9 305 200 | 20 770 | საშუალო |

აქედან ისრაელი ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო სუბიექტია, ხოლო ირლანდია ყველაზე წინაა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მიხედვით (მუპ).

შესაბამისობის ხარისხი განსაზღვრულია ოთხი პარამეტრის მიხედვით: მშპ ერთ სულზე მუპ, მოსახლეობა, ტერიტორიის ფართობი, საერთაშორისო ვითარება.

სადემონსტრაციოდ ავილე 2 ქვეყანა: ხორვატია და ჩეხეთი.

**ხორვატია**[9]: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა, ბალკანეთის რეგიონი, ევროპის ერთ-ერთი საკვანძო გეოსტრატეგიული რეგიონია. რეგიონი გამოირჩევა, როგორც ეთნიკური, რელიგიური და იდეოლოგიური მრავალფეროვნებით, ასევე - მაღალი ხარისხის ტურბულანტურობით და კონფლიქტურობით. გარდა შიდა დაპირისპირებებისა და მზარდი ანტაგონიზმისა, ბალკანურ ქვეყნებს შორის კონფრონტაციას კიდევ უფრო ამძაფრებდა გარედან მომდინარე გავლენები და ძლიერი საერთაშორისო აქტორების ინტერესები. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი შედგება ექვსი სახელმწიფოსგან: ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო, მაკედონია, მონტენეგრო და სერბეთი.

[9] https://en.wikipedia.org/wiki/Croatia

ექვსივე ქვეყანა განვითარების და გლობალურ პროცესებში ინტეგრაციის სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან.

ხორვატია გამორჩეულია რეგიონის სხვა სახელმწიფოებისაგან, რადგან განსაკუთრებულად მიისწრაფვოდა საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაციისკენ. 2009 წელს ხორვატია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატოს) წევრად მოგვევლინა, ხოლო 2013 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყანაც გახდა. დღემდე ხორვატია რეგიონის ერთადერთ ქვეყნად რჩება, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნების რიგებში მოექცა. ნაწილი მკლევრებისა თვლის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში ამგვარი აქსელირებული ინტეგრაციით დიდი სახელმწიფოებისგან მომავალი გავლენების მინიმიზაციას და

Table 2.1. Croatian trade with countries of Southeast Europe in mil €

| | 2016 | | 2017 | |
|---|---|---|---|---|
| **Country** | **Export** | **Import** | **Export** | **Import** |
| Albania | 46,53 | 4,89 | 55,30 | 6,17 |
| BiH | 1119,99 | 573,32 | 1 367,91 | 685,17 |
| Kosovo | 65,7 | 2,33 | 61,75 | 1,76 |
| Macedonia | 121,57 | 81,99 | 120,21 | 75,63 |
| Montenegro | 139,95 | 4,75 | 167,33 | 5,10 |
| Serbia | 521 | 497,83 | 670,06 | 575,05 |
| **Southeast Europe total** | 2014,74 | 1165,13 | 2 442,58 | 1348,91 |

რეგიონში სტაბილიზაციის მიღწევას შეეცადა. თუმცა, ბალკანეთის რეგიონი დღემდე ისეთი წამყვანი სახელმწიფოების გავლენების სივრცედ რჩება, როგორებიცაა რუსეთი, გერმანია, თურქეთი და ჩინეთი, ამიტომ ევროკავშირი იძულებულიც კია არ დაკარგოს ხორვატიის სახით მოკავშირე და რეგიონზე კონტროლი ამგვარად შეინარჩუნოს. რეგიონის წარმომადგენელი ქვეყნებიდან სერბეთი და მონტენეგრო მიჩნეული არიან ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის დაძლევის წარმატებულ მაგალითებად და მათ ამ სივრცის ნაწილად გახდომას 2025 წელს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ რეგიონში გარედან მომავალი გავლენებების დინებები იმდენად ჭრელი და მზარდი ხდება, რომ რთულია რაიმეს მტკიცებას მოვჰყვეთ.[10] იმის მიუხედავად, რომ ევროპის კონტექსტში ხორვატია პატარა სახელმწიფოა საკმაოდ ლიმიტირებული რესურსებით, ყველა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინდიკატორით რეგიონის მოწინავე ქვეყანას წარმოადგენს. ხორვატიას რეგიონში ყველაზე დიდია მშპ აქვს ერთ სულ მოსახლეზე,

[10] Study “Croatia as a small state in contemporary international relations”, Sandro Knezović and Marco Esteves Lopes, 2019.

უმუშევრობის დონის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს და ექსპორტის წილი საშუალოდ ორჯერ მეტია იმპორტის წილზე. [11]

თუ ხორვატიის ვაჭრობის დინამიკას დავაკვირდებით 2016-2017 წლებში რეგიონის სხვა წევრ ქვეყნებთან მიმართებაში, აღმოვაჩენთ, რომ ალბანეთთან, ბოსნია და ჰერცოგოვინასთან, კოსოვოსთან, მაკედონიასთან და სერბეთთანაც ექსპორტი ბილატერალურადაც და მთლიანობაშიც ყოველთვის პოზიტიურია და ორჯერ მაინც აღემატება იმპორტის ოდენობას.[12]

**ჩეხეთის რესპუბლიკა**[13] არის ცენტრალურ ევროპაში მდებარე სახელმწიფო, ოთხივე მხრიდან სახმელეთო საზღვრით, რომლის ტერიტორია სულ ცოტათი აღემატება საქართველოს ტერიტორიას. ყველაზე დიდი სახმელეთო საზღვრით გერმანიასთან, ხოლო სამხრეთით და ჩრდილ-დასავლეთით ავსტრია, სლოვაკეთი და პოლონეთი. 1989 წლის ხავერდოვანი რევოლუციის შედეგად ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებას ჩამოსცილდა კომუნისტური მმართველობა და ქვეყანა გადაერთო პროდასავლური ლიბერალური დემოკრატიის კურსზე. 1993 წელს მოხდა ქვეყნის მშვიდობიანი გაყოფა ორი ახალ სახელმწიფოდ - ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი. ამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის შემდეგ, ჩეხეთის ეკონომიკაში მასშტაბური ცვლილებები დაიწყო პრივატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის შემოღების კუთხით. 2006 წელს მსოფლიო ბანკის[14] მიერ ჩეხეთის რესპუბლიკას მიენიჭა განვითარებული ქვეყნის სტატუსი. ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით ჩეხეთი არის ძალიან განვითარებული სახელმწიფოების სიაში. 1999 წელს ჩეხეთის რესპუბლიკა გახდა ნატო-ს წევრი სახელმწიფო, ხოლო 2004 წელს ევროკავშირს შეუერთდა. მმართველობის კუთხით ჩეხეთი არის საპარლამენტო წარმომადგენლობითი დემოკრატია. ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში წარმოდგენილია ორი წამყვანი პარტია, სოციალ-დემოკრატები და ლიბერალ-კონსერვატორები, მთავრობის ხელმძღვანელი არის პრემიერ-მინისტრი. საპარლამენტო არჩევნები ტარდება ყოველ 4 წელში ერთხელ, პროპორციული საარჩევნო სისტემით და 5% ბარიერერით. თუ ეკონომიკური თვალსაზრისით შევადარებთ, ჩეხეთი

[11] Ibid. p.11.
[12] National Bureau for Statistics, https://www.dzs.hr/Hrv_Eng/publication/2018/04-02-02_01_2018.htm
[13] https://en.wikipedia.org/wiki/Czech_Republic
[14] World Development Report – World Bank 2006

საქართველოს ეკონომიკაზე 9-ჯერ უფრო დიდია, მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით (250.6 მილიარდი აშშ დოლარი)[15].

ჩეხეთის ეკონომიკური აღმავლობა პირდაპირ არის დაკავშირებული მის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. როგორც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოს, ჩეხეთს მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვს მის ყველაზე დიდი მეზობელთან და ევროპის ყველაზე დიდ ეკონიმიკასთან, გერმანიასთან. ჩეხეთი სავაჭრო ეკონომიკური წარმატების კორელაცია მის გეო-პოლიტიკურ მდებარეობასთან კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგება თუ მას შევადარებთ სხვა იგივე ზომის სახელმწიფოებს, მაგალითისთვის გამოდგება საქართველოც. ევროკავშირის შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ეკონომიკური რეფორმები, რომელიც ჩეხეთმა გაატარა, პირდაპირ აისახება ჩეხეთის, როგორც განვითარებული და ძლიერი ეკონიმიკის მქონე სახელმწიფოზე და მის ხერხემალს წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეაქვს შენგენის ზონის სხვა სახელმწიფოებთან ჩეხეთის მჭიდრო კავშირსაც. პოლიტიკური სტაბილურობა, ქვეყნის უსაფრთხოების საკითხების უზრუნველყოფა გეოპოლიტიკურ კონტექსტში წარმოადგენს ჩეხეთის წარმატების საიდუმლოს, რომელიც უცნაურია, თუმცა ამ ქვეყნის პირდაპირ დამსახურებას არ წარმოადგენს, ის ნაყოფია მის ირგვლივ შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური კონიუქტურის.

ყველაფერი ზემოხსენებული ასევე იმას ნიშნავს, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს ერის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას და თავისუბურებებს. ფაქტია, რომ მიუხედავად სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა, როგორც შუა საუკუნეებში, ასევე 19-20 საუკუნეებში ქართველი ერი განაგრძობდა არსებობას და განვითარებას.

ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ქართველობისა, ეს არის მართლმადიდებლობა[16]. შუა საუკუნეებში სწორედ ეს იყო მთავარი ფაქტორი, რამეთუ საქართველო გარშემორტყმული იყო მასზე ძლიერი მუსულმანური სახელმწიფოებით. მიუხედავად ამისა, საქართველომ, როგორც სახელმწიფომ ვერ შეძლო არსებობა, მაგრამ ქართველმა ერმა მაინც მოიტანა თავი 19-ე საუკუნემდე ისე, რომ არ დათმო

[15] World Bank Data GDP (current US$) - Czech Republic 2019
[16] აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., (2020), „საქართველო და ქართველები".

თავისი რელიგიური იდენტობა და მხოლოდ ტერიტორიის და მოსახლეობის ნაწილი დაკარგა.

სულ სხვა კონტექსტში მოუწია არსებობა ქართველ ერს რუსეთის იმპერიაში. საქმე ისაა, რომ რუსებიც მართლმადიდებლები იყვნენ და ქართველ ერს არ უწევდა ბრძოლა რელიგიური იდენტობის შესანარჩუნებლად, მაგრამ მას უკვე მოუწია ბრძოლა კულტურული და ენობრივი იდენტობის შესანარჩუნებლად.

ამავე დროს, მთელ ქართულ ისტორიას მკაფიოდ გასდევს ის ხაზი, რომ ქართველები ხშირად ქიშპობდნენ ერთმანეთთან, ხშირად ღალატობდნენ ერთმანეთს, მსგავს რამეს პრაქტიკულად არ ჰქონდა ადგილი, როცა ისინი უცხო ქვეყნისა და ერის სამსახურში დგებოდნენ.

მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება ქართული ისტორიისა არის ის, რომ ქართველები, როგორც კი უცხო ქვეყნის სამსახურში დგებოდნენ, ხშირად აღწევდნენ დიდ წარმატებას და მსოფლიო მნიშვნელობის პროცესებშიც მონაწილეობდნენ ხოლმე.

ამ თვალსაზრისით, ცნობილია ქართველები და მათი შთამომავლები ეგვიპტეში (მამელუკები), ოსმალეთის იმპერიაში, სპარსეთში, ბოლო პერიოდში კი რუსეთის იმპერიაში, ასევე ევროპასა და აშშ-ში. ქართველი ერის შვილები იყვნენ 20-ე საუკუნის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსები - იოსებ სტალინი[17] და ლავრენტი ბერია.

საბჭოთა კავშირში სწორედ სტალინის და ბერიას მმართველობის დროს დაიწყო თითქმის 50 წლიანი ,,ცივი ომი“, რომლითაც საფუძველი დაედო ბიპოლარულ მსოფლიო წესრიგს. მსოფლიო ორ ნაწილად გაიყო და აღიმართა ერთგვარი კედელი, რომელიც, როგორც იდეოლოგიურად, ასევე ფიზიკურადაც ჰყოფდა იმდროინდელ მსოფლიოს.

მიუხედავად ყველაფრისა, ქართველ ერს მუდამ ჰქონდა სურვილი დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. ამ სურვილს კი ბიძგი 1980-იანი წლების მიწურულს მიეცა, როდესაც ,,ბოროტების იმპერიის“[18] არსებობის ხანა დასასრულს მიუახლოვდა. თუმცა, მიუხედავად თავისუფლების მოპოვების მოახლოებისა საქართველოში შთამბეჭდავად ჩამონტაჟდა საბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც საბჭოეთიდან მიიღო:

---

[17] ხვიჩია ე., „სტალინის ფენომენი“, http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page_17.html
[18] ტერმინი გამოიყენა აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ევანგელისტების ასოციაციაზე სიტყვის გამოსვლის დროს 1983 წ. 8 მარტი.

უზენაესი საბჭო, მინისტრთა საბჭო, სახელმწიფო ბიუჯეტი, პროფკავშირის ფედერაცია, კონსტიტუცია, საარჩევნო კანონი და სხვა.[19]

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიშვა 15 დამოუკიდებელი და 4 თვითგამოცხადებული ან ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფო. ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო საქართველო, რომლის წინაშეც ახალი გამოწვევა გაჩნდა, როგორ უნდა გაეგრძელებინა მას არსებობა, ან საერთოდ რა პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა, მაშინ როდესაც მას დამოუკიდებლობის მცირე ისტორია გააჩნდა. ტრანზიციის ეს პერიოდი რთული და ქარტეხილებით აღსავსე გამოდგა, ვინაიდან ტრანზიტულობას მთელი რიგი პროცესები ახასიათებს. ტრანზიტულ საზოგადოებებში პოლიტიკური ინსტიტუტიზაციის ამოცანებია:

- განსაზღვროს და დაამკვიდროს პოლიტიკური წესრიგის გარკვეული ტიპი;
- უზრუნველყოს პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმურობა;
- მოახდინოს პოლიტიკურ ფასეულობათა ტრანსფორმაცია და შეცვალოს ინდივიდისა და სოციუმის მენტალობა, რომლის გამოხატულებაა პოლიტიკური კულტურა.[20]

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თქვა: ,,ქართველი ხალხი არასოდეს შეგუებია თავისუფლების დაკარგვას“.

მაგრამ საკმარისი იყო ქართველ ერს მოეპოვებინა დამოუკიდებლობა, მაშინათვე დაიწყო შინაგანი წინააღმდეგობები, რასაც მოჰყვა სამოქალაქო ომი.

რამ გამოიწვია სამოქალაქო ომი? შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება? რაიმე გვასწავლა ქართველებს ამ ომმა? და თუ რამე გვასწავლა, ღირდა თუ არა ამ ომად და შესაბამის მსხვერპლად ეს ცოდნა? ვფიქრობ, რომ ეს კითხვები ჯერ ისევ პასუხგაუცემელია.

ასევე ღიად შეიძლება ჩაითვალოს კითხვები 2003 წლის ვარდების რევოლუციასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ მისი სამი ძირითადი ორგანიზატორიდან ერთ-ერთი (ზურაბ ჟვანია) ცოცხალი არ არის, მეორემ (ნინო

---

[19] ჯონსი, ს. „პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2012 წ. გვ 11.
[20] აბესაძე, გ. „პოლიტიკურ-კულტურული სივრცის დემოკრატიული მოდერნიზაცია საქართველოში“, 2011 გვ. 7

ბურჯანაძემ) 2020 წლის არჩევნებზე მიიღო 1%-ზე ნაკლები და პარლამენტის წევრიც კი ვერ გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ორი მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ხოლო მესამე და მთავარი (ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი) მსჯავრდებულია ქართული სასამართლოს მიერ და საქართველოში ვერც კი ჩამოდის.

რატომ არის, რომ 80-90 ან მეტი პროცენტით შეიძლება ქართველმა ხალხმა აირჩიოს ხელისუფალი და სულ რამდენიმე წელიწადში ის ქვეყნიდან გააძევოს? შეიცვალა კი ეს მოცემულობა 2012 წლის შემდეგ, რამეთუ ბოლო არჩევნებზე ქართული ოცნება მუდმივად 50%-ის ფარგლებში იღებდა ხმებს?

მიმაჩნია, რომ ზემოხსენებული კითხვები აქტუალურია. ასევე აქტუალურია კითხვა საქართველოს და ქართველი ერის რაობისა და მისთვის ოპტიმალური საერთაშორისო როლის შესახებ. ჩემი კვლევის ფარგლებში შევეცდები ამ კითხვებზე პასუხის გაცემას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ტერიტორიულად აზიას ეკუთვნის, ქართველთა აბსოლუტური უმეტესობა თავს ევროპელად თვლიდა და თვლის. მაშინაც კი, როცა საქართველო რუსეთის იმპერიაში ორ გუბერნიად იყო წარმოდგენილი და ქართველი ინტელიგენცია განათლების მისაღებად ძირითადად რუსეთის დედაქალაქში მიდიოდა და არა ევროპაში, ისინი იქაც ხარბად ეწაფებოდნენ ყველაფერს, რასაც ერქვა ევროპული.

სწორედ ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია ილია ჭავჭავაძე და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია[21]. ამ თეორიის მიხედვით ილია ჭავჭავაძემ შემოგვთავაზა ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო.

საერთო ნიადაგის თეორიის მიხედვით, პოლიტიკური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძე „სამსახოვანი პიროვნებაა“; მომავალი ქართული სახელმწიფოს მისეული სტრატეგიული ხედვა და გააზრება 3 პოლიტიკურ იდეოლოგიას ეფუძნება – კონსერვატიზმს, ლიბერალიზმს და ევროპულ სოციალ–დემოკრატიას: სახელმწიფო წყობის მიმართებით იგი კონსერვატორი, კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე სახელმწიფო მოწყობის მომხრეა, ადამიანის უფლებების მიმართებით თანამედროვე ლიბერალიზმის, ხოლო ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების

[21] ილია და საერთო ნიადაგის თეორია (ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს). (1837-2014). „ილიალოგთა კლუბი“.

მიმართებით ევროპული სოციალ–დემოკრატიული ღირებულებების მომხრე და მიმდევარია.[22]

თავისთავად ძალიან საინტერესოა ,,საერთო ნიადაგის" თეორიის ისტორიული და გნოსეოლოგიური ფესვები. როგორც ელბერდ ბატიაშვილი თავის ნარკვევში აღნიშნავს, ამ თეორიის საფუძველი პეტრე იბერის დროიდან მოდის[23].

პეტრე იბერის მიხედვით, ,,საერთო ნიადაგის" ძირითადი იდეა ეს არის – ,,დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება".[24]

მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევის შედეგად პრაქტიკულად იგივე შედეგები მიიღო ქართველმა სოციოლოგმა ემზარ ხვიჩიამ, რამეთუ მისი თეორიის, კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის მიხედვით[25], ქართველი ერისთვის მაკონსოლიდირებელი ფაქტორი აღმოჩნდა ,,განსხვავებულობა", რაც დაპირისპირებულობის შერბილებულ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს.

სწორედ საერთო ნიადაგის ისტორიული კონტექსტიდან და დღეს უკვე ნოოლოგიის მიხედვით მკაფიოდ ჩანს ის როლი, რომელიც ქართველებს შეუძლიათ შეასრულონ გლობალურ სამყაროში – ეს არის დაპირისპირებულთა (ნოოლოგიის მიხედვით – განსხვავებულთა) ბედნიერი მორიგება (ნოოლოგიის მიხედვით – თანხმობის პროცესის მოდერაცია, მართვა).

ჩემ კვლევაში (დისერტაციაში) ცენტრალური ადგილი დაეთმობა სწორედ ამ მიდგომის არსის ახსნას, მის გაშლასა და ემპირიული ფაქტებით მისი სისწორის, ოპტიმალურობისა და რეალურობის დადასტურებას.

[22] იქვე, გვ. 7.
[23] ბატიაშვილი, ე. (2015). პეტრე იბერი: „საერთო ნიადაგის" თეორიის ისტორიული და გნოსეოლოგიური ფესვები. თბილისი. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/134297/1/Petre_Iberi.pdf
[24] იქვე, გვ. 3.
[25] ხვიჩია, ე. (2020). ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა. გამომცემლობა „ახალი პარადიგმა", თბილისი.

## 1.2 საერთაშორისო ასპარეზზე პატარა ქვეყნების ქცევის მოტივაციის შესახებ თეორიული საფუძვლები

ცნობილია, რომ პატარა ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობებში იყენებენ შემდეგ ტაქტიკებსა და სტრატეგიებს:

**დაბალანსება** – მოსაზრება, რომ სახელმწიფოები კავშირებს ქმნიან, რათა უფრო ძლიერი სახელმწიფოების მათზე გაბატონება არ დაუშვან, ძალთა ბალანსის ტრადიციული თეორიის საფუძველს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისის თანახმად, სახელმწიფოები ალიანსებს უერთდებიან, რათა თავი დაიცვან იმ სახელმწიფოებისგან, რომლებიც მათზე ბევრად მეტ რესურსებს ფლობენ[26].

**მიტმასნება** – ეს მიდგომა პოპულარულია იმ სახელმწიფო მოხელეებს შორის, რომლებიც საზღვარგარეთ მიმდინარე კონფლიქტებში ჩაბმის ან სამხედრო ბიუჯეტის ზრდის გამართლებას ცდილობენ. მიტმასნება საფრთხის წყაროსთან ალიანსში შესვლას გულისხმობს, რაც ხშირად ნეიტრალიტეტის დათმობისა და მარიონეტად ქცევის ტოლფასია.

**ბუფერი** ორ ან მეტ ძლიერ ქვეყანას შორის მოქცეულ პატარა, სუსტ სახელმწიფოს ეწოდება, რომელსაც აქტიური და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა არ გააჩნია[27]. მ. უაითი ბუფერულ სახელმწიფოებს აჯგუფებს სამ ტიპად: **ტრიმერები, ნეიტრალები და სატელიტები**[28].

ტრიკვე მატისენის აზრით ბუფერი შეიძლება ვუწოდოთ მცირე სახელმწიფოებს, რომლებიც დიდ სახელმწიფოთა საზღვრებთან მდებარეობენ და მათ თავდაცვით პერიმეტრში იმყოფებიან, მაგრამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის უშუალოდ მოქცეულნი არ არიან[29].

მკვლევარმა თორნიკე თურმანიძემ ცალმხრივი ბუფერების აღსანიშნავად შემოიტანა ახალი ცნება **,,კვაზიბუფერი“**[30].

---

[26] არტი რ, ჯერვისი რ., (2011), საერთაშორისო პოლიტიკა. მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, ილიაუნის გამომცემლობა, გვ. 131

[27] რონდელი, ა. (თბილისი, 2009). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, გვ.163

[28] იქვე, გვ. 166

[29] თურმანიძე თ, (თბილისი, 2010), „ბუფერული სახელმწიფოები“, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 20

[30] იქვე.

**ნეიტრალიტეტი** – ,,ასახავს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს და ამავე დროს იმ სახელმწიფოს სამართლებრივ სტატუსს, რომელიც სხვა სახელმწიფოთა შორის მიმდინარე საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობს“[31].

**მიუმხრობლობა** – სამხედრო-პოლიტიკური სისუსტის გამო პატარა ქვეყნებს, პირველ ყოვლისა, ძლიერი სახელმწიფოების ჭიდილში ჩათრევისა და, საზოგადოდ, ყოველგვარი საშიში პოლიტიკური მოვლენების თავიდან აცილება სურთ[32].

**ტრიმერი** – ,,ისეთი ბუფერია, რომელიც ახერხებს გარკვეული გავლენა იქონიოს თავისზე უფრო ძლიერ მეზობელზე და ამავე დროს მეტოქეებზე. იგი ცდილობს მათ წაკიდებას და მათ შორის მანევრირებას“[33].

**სატელიტი** – ,,არიან ისეთი სახელმწიფოები, რომელთა საგარეო პოლიტიკას სხვა სახელმწიფო აკონტროლებს“[34].

**ნეიტრალი** – ,,ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც აქტიური საგარეო პოლიტიკა არ გააჩნია. იგი თავისთვის ყოფნას და ,,შეუმჩნევლად“ დარჩენას ცდილობს“[35]

**დაშოშმინების პოლიტიკა** – საერთაშორისო დავების მოგვარებისა და კონფლიქტების გადაწყვეტის პოლიტიკა გონივრული მოლაპარაკებების გზით, კომპრომისის ძიება და შეთავაზება, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეიარაღებული შეტაკებები და პრობლემური საკითხების ძალადობრივი გადაწყვეტა. ამ პოლიტიკამ ვერ გაამართლა 20-ე საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიის მიმართ და მან, მიუხედავად დამშოშმინებლების დიდი მცდელობისა, მაინც დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

**ლავირების პოლიტიკა** – არსებითად ეს არის დაბალანსების პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზაციის ერთ-ერთი ტაქტიკური ხერხი.

საინტერესოა პატარა ქვეყნების როლის ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა კონცეფციების მიხედვით. გამოყოფენ 3 კლასიკურ კონცეფციას: რეალიზმი, პლურალიზმი და გლობალიზმი.

[31] რონდელი, ა. (თბილისი, 2009). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, გვ.174
[32] იქვე, გვ. 183
[33] იქვე, გვ. 166
[34] იქვე
[35] იქვე

**რეალიზმის**[36] კონცეფციიდან გამომდინარე სახელმწიფოთა სიძლიერე ძალის პრიმატს უკავშირდება და მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ისაა, სადაც პატარა სახელმწიფოები ჩრდილში ექცევიან და მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავთ. ისინი დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ მანამ, სანამ ძლიერ ქვეყნებს აძლევთ ხელს, ამის დასაბალანსებლად კი ცდილობენ ალიანსებში და სხვადასხვა კავშირებში ჰპოვონ გადარჩენა.

**პლურალიზმის** მიხედვით სახელმწიფოებთან ერთად საერთაშორისო სისტემაში აგრეთვე მონაწილეობენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, ეკლესია, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო პროფესიული გაერთიანებები, საგარეო და საშინაო პოლიტიკას შორის სხვაობა წაშლილია, სახელმწიფოები ეკონომიკურად ძალიან არიან ურთიერთდამოკიდებულები, რამაც სახელმწიფოს საზღვრების ადრინდელი მნიშვნელობა და სუვერენიტეტი შეზღუდა. პატარა სახელმწიფოების ბუფერული როლი იცვლება "დერეფნების" და "ხიდების" როლით და გეოსტრატეგიული მნიშვნელობა იცვლება გეოეკონომიკური მიდგომით. პატარა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი ფუნქციისა და როლის დაკავება, რომლის წარმატება ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზეა დამოკიდებული. პლურალიზმის მიხედვით საერთაშორისო სისტემაში პატარა სახელმწიფოები ურთიერთდამოკიდებულებისა და ინტეგრაციის პროცესში უსაფრთხოების მიმართულებით მრავალ პრობლემას წააწყდებიან და ავითარებენ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც პატარა ქვეყნისათვის თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში უმნიშვნელოვანესია შრომის დანაწილების მექანიზმში და საერთაშორისო ბაზარზე თავიანთი ადგილის და ფუნქციის პოვნაა[37].

**გლობალიზმის** თეორიის მიხედვით მსოფლიო წარმოადგენს გლობალურ კაპიტალისტურ სისტემას, სადაც ძლიერი სახელმწიფოები სუსტებს აკონტროლებენ და ექსპლუატაციას უწევენ მას. საერთაშორისო ურთიერთობების განხილვა ეკონომიკურ ჭრილში ხდება, ხოლო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები წარმოდგენილია როგორც გლობალური კაპიტალისტური სისტემა. ეს სისტემა კი შედგენა სამი

[36] სანიკიძე, გ. კილურაძე, ნ. "თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები", გამომცემლობა მერიდიანი, 2001 წ. გვ 8.

[37] რონდელი, ა. (2009). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, გვ. 59.

საფეხურისაგან: 1. ბირთვი; 2. ნახევრადპერიფერია და 3. პერიფერია[38]. ძირითადი დასკვნა კი თეორიის მიხედვით მდგომარეობს იმაში, რომ პატარა სახელმწიფოები დამოკიდებულნი არიან დიდ სახელმწიფოებზე. შესაბამისად თეორიის მიხედვით პატარა ქვეყნების უსაფრთხოების საკითხი ეკონომიკაზე გადის. რეალიზმის მსგავსად ისიც სუსტ სახელმწიფოებს განიხილავს, როგორც მეორეხარისხოვანს, იმ განსხვავებით, რომ რეალიზმის მიხედვით მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ძალაა, ხოლო გლობალიზმის მიხედვით მთავარი ასპექტი ეკონომიკა გახლავთ.

ნებისმიერი ზემოხსენებული ტაქტიკა თუ სტრატეგია, ასევე როლი შეესაბამება კლასიკური – საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიას, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა სუბიექტს სურს და ახერხებს მიიღოს იმდენი, რამდენზეც ეყოფა ძალა და შესაძლებლობა.

ნოოლოგიის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო გახდა ერთიანი ცივილიზაცია, ანუ ნებისმიერ ქვეყანას და პიროვნებას ნებისმიერ სხვასთან აქვს ან პირდაპირი ან არაპირდაპირი კომუნიკაცია. კომუნიკაციის ტემპი მკვეთრად დაჩქარდა 20-ე საუკუნის 90-იანი წლებიდან (განსაკუთრებით კი 21-ე საუკუნის დაწყების შემდეგ), მას შემდეგ, რაც ინტერნეტი შემოვიდა საყოველთაო მოხმარებაში.

დღეისთვის მსოფლიოს ნებისმიერი მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმეტესობას ხელი მიუწვდება ინტერნეტთან, ანუ პრაქტიკულად ნებისმერი ქვეყნიდან ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია პირდაპირ დაუკავშირდეს ნებისმიერ სხვა პიროვნებას.

ეს ნიშნავს, რომ დღეს შეუძლებელია რომელიმე სახელმწიფოს გაფართოება ისე, თუ ეს არ დააზიანებს სხვა სახელმწიფოს. ასეთ შემთხვევაში ოპტიმალური ხდება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ისეთი სტრატეგია, რაც გულისხმობს მათ შორის როლების დანაწილებას და არა რესურსების გადანაწილებას.

ახალი სტრატეგიის უპირატესობა მით უფრო საგრძნობია, რამდენადაც მკვეთრად ეცემა ენერგიის თვითღირებულება, რაც ძირითად უნივერსალურ რესურსს წარმოადგენდა ისტორიულად.

[38] რონდელი, ა. (2009). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, გვ. 61.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს რთულ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე მოუწია თავისი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის დაწყება და იგი ამ მიმართულებით სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. რეგიონის და გლობალური პოლიტიკის გათვალისწინებით საქართველო არჩევანის წინაშე დადგა და მას დროულად უნდა გადაეწყვიტა თავისი საგარეო ვექტორის საკითხი. რუსეთის მტრული პოლიტიკა, რომელიც სეპარატისტული დაჯგუფებების ღია თუ ფარულ ხელშეწყობაში გამოიხატებოდა, საქართველოს სუვერინიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობისასთვის სერიოზულ პრობლემად იქცა. დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ამგვარი ქმედებები პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლის შენარჩუნებას ემსახურებოდა.

სტივენ უოლტი თავის სტატიაში ,,ალიანსები: დაბალანსება და მიტმასნება“[39] – ავითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სუსტი სახელმწიფოები მიტმასნების პოლიტიკას მიმართავენ, რადგანაც სუსტი სახელმწიფოები ძირითადად იმ მოვლენებზე ფიქრობენ, რომლებიც მათ უშუალო სიახლოვეს ხდება. ისინი მგრძნობიარენი არიან ახლომდებარე ძალის მიმართ. სწორედ ამ მოცემულობიდან გამომდინარე შეიძლება აიხსნას საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც დსთ-ში გაწევრიანებით გამოიხატა.

მიტმასნების პოლიტიკის არჩევის დროს გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – ამ დროს აგრესიულ ძალას ეზრდება ხელმისაწვდომი რესურსების მასშტაბი[40]. ამგვარი ქმედებების შემდეგ სახელმწიფოები მხოლოდ მათი შემწყნარებული პოლიტიკის იმედის მოლოდინში არიან.

დაბალანსების პოლიტიკის არჩევის შემთხვევაში საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო შეიძლება გამწვავდეს, რადგანაც საქართველოს მიერ ამგვარი პოლიტიკის გატარება რუსეთის ეროვნული ინტერესებთან მოდის წინააღმდეგობაში. ზოგადად ცნობილია, რომ დაბალანსების პოლიტიკის გატარების შემთხვევაში გასათვალისწინებელია დამბალანსებელი ძალის პოზიცია. უოლტი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ “უფრო სუსტ მხარესთან ძლიერის გაერთიანება ალიანსის ახალი

[39] არტი რ, ჯერვისი რ., (2011), საერთაშორისო პოლიტიკა. მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, ილიაუნის გამომცემლობა, გვ. 131-139.
[40] იქვე, გვ. 135.

წევრის გავლენას ზრდის, რადგან შედარებით სუსტი მოკავშირე მეტ დახმარებას საჭიროებს"[41]

საქართველოს სწრაფვა ნატოში გასაწევრიანებლად საჭიროებს მეტ დაფიქრებასა და საკითხის სიღრმისეულად განსჯას, რადგან საქართველო შესაძლოა გახდეს ნატოს "კაპრიზების" მსხვერპლი და ქვეყანა შეიძლება მის სრულ დაქვემდებარებაში მოექცეს. ამავდროულად გასათვალისწინებლია ის გარემოება, ულირს თუ არა დამბალანსებელ ძალებს საქართველოს მსგავსი სუსტი სახელმწიფოს გამო კონფრონტაციაში შესვლა ისეთ დიდ სახელმწიფოსთან, როგორიც რუსეთია.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს შორის წინააღმდეგობა ამ თეორიული პრიზმის გადმოსახედიდან ვერ მოგვარდება: მიტმასნების პოლიტიკის არჩევის შემთხვევაში საქართველოზე კვლავ გაიზრდება რუსეთის გავლენა, ხოლო დაბალანსების პოლიტიკის არჩევის შემთხვევაში რუსეთის აგრესიული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ათმაგად გაძლიერდება.

აქაც იკვეთება ამოცანა, რომ საქართველომ რუსეთს უნდა შესთავაზოს ისეთი რამ, რაც რუსეთს შეუქმნის ისეთ ღირებულებას, რომელიც ბევრად ძვირფასია მისთვის, ვიდრე ის რესურსები, რომლებსაც მიიღებს საქართველოს სრულად დაუფლების შემთხვევაში.

## 1.3 პოსტ-საბჭოთა სივრცის ტრანსფორმაცია, ტრანზიციის პროცესი და მისი განზომილებები

საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციას არნახულად დიდი ძრვები და ცვლილებები მოჰყვა, თანმდევი ტრანსფორმაციები გავრცელდა ყოფის ყველა დონეზე. მას შემდეგ მრავალი მკლევარი და თეორია შეეცადა საბჭოთა კავშირის დაშლა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში ლიბერალ-დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესი და შედეგები შეეფასებინა. მათი დაჯგუფება კი ორ სააზროვნო სკოლადაა შესაძლებელი,

[41] იქვე, გვ. 131.

რომლებიც ტრანზიციისიის პროცესის კვლევისას განსხვავებულ თეორიულ და კონცეპტუალურ ჩარჩოს აყალიბებებენ.[42]

პოსტ-საბჭოთა სივრცეში მომხდარი გარდაქმნების შესწავლის დომინანტური თეორიული ჩარჩო წარმოგვიდგება ე.წ. პოლიტიკური განვითარების თეორიისა (Theories of Political Development) და მოდერნიზაციის თეორიის (Modernization theory) სახით. ორივე თეორია ძალიან წააგავს ერთმანეთს და მათ შორის მხოლოდ ნომინალური განსხვავებები არსებობს. ისინი განვითარების მთავარ წინაღობად ასახელებენ საზოგადოების ჩამორჩენილობას და გლობალურ პროცესებში ინტეგრაციის დაბალ ხარისხს. ამ თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ საზოგადოებას დრო სჭირდება თანამედროვე გამოცდილებებისა და ტექნოლოგიების ასათვისებლად და მათთვის ფეხის ასადგმელად. მათი აზრით, გარდამავალი ეკონომიკები ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ადრე თუ გვიან აუცილებლად დაეწევიან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებს და ამ პროცესის შექცევადობას უსვამენ ხაზს.[43]

როგორც ლევი (1967, გვ. 207) გვთავაზობდა: „დროის სვლასთან ერთად, ისინი (განვითარებადი და განვითარებული ქვეყნები) კიდევ უფრო დაემსგავსებიან ერთმანეთს, მოდერნიზაციის მოდელი იმგვარია, რომ რაც უფრო იზრდება მოდერნიზაციის ხარისხი ქვეყნებში, ისინი უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს."[44] ლევის და სხვა მთელი რიგი ავტორების მიერ მოდერნიზაცია და განვითარება დანახულია, როგორც ევროპეიზაცია და ამერიკანიზაცია. ეს პერსპექტივა და მიდგომა ცალსახად გამოხატავს ლიბერალურ-დემოკრატიული ერების სააზროვნო სისტემას, ნოოლოგიის მიხედვით – „ცხრომის მანიის" კლასის ერებს (იხ. ქვემოთ).

მეორე მიდგომა და თეორიული ჩარჩო, რომელიც გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების განვითარების ანალიზისთვის გამოიყენება ისეთ თეორიებს აერთიანებს, როგორებიცაა მსოფლიო სისტემების თეორია (World-Systems Theory) და ურთიერთდამოკიდებულების თეორიას (Dependence Theory). ეს თეორიები უპირისპირდებიან ზემოხსენებულ მოდერნიზაციის და პოლიტიკური განვითარების თეორიებს და ამტკიცებენ, რომ ტრანსნაციონალურ დონეზე არსებული ძალაუფლებრივი

[42] Four Main Theories of Development: Modernization, Dependency, World-System, and Globalization, Giovanni E. Reyes, Nómadas. Revista Crítica de Ciencias Sociales y Jurídicas | 04 (2001.2)

[43] Zapf, Wolfgang (2004) : Modernization theory - and the non-western world, WZB Discussion Paper, No. P 2004-003, Wissenschaftszentrum Berlin für Sozialforschung (WZB), Berlin. p.2.

[44] Four Main Theories of Development: Modernization, Dependency, World-System, and Globalization, Giovanni E. Reyes, Nómadas. Revista Crítica de Ciencias Sociales y Jurídicas | 04 (2001.2). p.2.

ასიმეტრიულობა განსაზღვრავს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს, შესაბამისად, სუსტი ქვეყნები ყოველთვის ჩაგრულ და ექსპლუატირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, დიდი ძალები კი უპირატეს მდგომარეობას ინარჩუნებენ ან თავის პოზიციებს კიდევ უფრო ამტკიცებენ: ,,ურთიერთდამოკიდებულება არის ისტორიული მდგომარეობა, რომელიც ადგენს მსოფლიო ეკონომიკის გარკვეულ სტრუქტურას, რომელშიც ზოგიერთი ქვეყანა ხეირობს სხვა ქვეყნების ზარალის ხარჯზე და განვითარებად ქვეყნებს უწესებს განვითარების შესაძლებლობების ლიმიტებს. ეს არის სიტუაცია, როდესაც გარკვეული კატეგორიის ქვეყნების ეკონომიკა არის დაქვემდებარებული განვითარებული ქვეყნებზე და მათ ეკონომიკურ ექსპანსიაზე.“[45]

ერთ-ერთი პიონერი თეორეტიკოსი, რომელმაც ამ მიდგომის ჩამოყალიბება დაიწყო თავისი 1974 წელს გამოქვეყნებული ნაშრომით ,,მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის აღზევენება და სიკვდილი: კონცეპტები შედარებითი ანალიზისთვის“ და მსოფლიო პოლიტიკური სისტემა აღიქვა როგორც ერთი მთლიანობა, იმანუელ ვალერშტაინია. მან თავისი თეორიის ბაზისად ,,ანალების სკოლა“, მარქსის ნააზრევი და ურთიერთდამოკიდებულების თეორია გამოიყენა. [46]

მსოფლიო სისტემების და ურთიერთდამოკიდებულების თეორიის აპოლოგეტები ამტკიცებენ, რომ პოსტ-საბჭოთა ტრანზიციის კრახი განპირობებულია იმით, რომ ე.წ. “ვაშინგტონის კონსესუსი“ თავს მოახვიეს პოსტ-სოციალისტურ ბანაკს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების შუამდგომლობით, როგორებიცაა მსოფლიო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. მსოფლიო სისტემების გამორჩეული თეორეტიკოსია ჯოზეფ სტიგლიცი თავისი მაგნუმ ოპუსით "გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება"[47]. ეს თეორიული აპარატი კი ნოოლოგიის მიხედვით პირდაპირ „ფორმის მანიის“ პარადიგმის ლოგიკაში ექცევა (იხ. შემდეგი ქვეთავი).

[45] Vincent Ferraro, "Dependency Theory: An Introduction," in *The Development Economics Reader*, ed. Giorgio Secondi (London: Routledge, 2008), pp. 58-64
[46] Martínez-Vela, Carlos A.. “World Systems Theory.” ESD.83 – Fall 2001.
[47] სტიგლიცი, ჯ. (2002), გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, გამომც. რადარამი.

## 1.4 კვანტური რელატივისტური ნოოლოგია[48] და ოპტიმალიზმის დოქტრინა[49]

ქვემოთ ,,კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის“ ნაცვლად ყველგან გამოვიყენებ ,,ნოოლოგიას“.[50]

**დასაწყისში ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს ქვეთავი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ნოოლოგიის შინაარსის, რაობის, მიდგომების ან მისი გამოყენებით მიღებული ,,ოპტიმალიზმის დოქტრინის“, არათუ სრულად, არამედ არც ნაწილობრივ ინტერპრეტირების მცდელობას.**

ამ ქვეთავის დანიშნულება მხოლოდ ის არის, ვაჩვენო, რომ არსებობს ასეთი ორიგინალური თეორია და ის გვთავაზობს საზოგადოებრივი პროცესების განვითარების თემაზე ახალ მეცნიერულ პარადიგმას.

აქვე აღვნიშნავ, რომ ნოოლოგია არ არის ათეულობით ან ასეულობით სხვადასხვა ერისა თუ ეთნოსის ან საზოგადოების რაიმე ჯგუფის ემპირიული კვლევის შედეგად მიღებული თეორია. ის მიღებულია დედუქციური მეთოდით: ავტორმა გააკეთა გარკვეული დაშვევები (ანუ დაუშვა, რომ სწორია გარკვეული მოსაზრებები). ხოლო თუ ეს მოსაზრებები სწორია, მაშინ ლოგიკურად გამოდის სხვა მოსაზრებების სისწორე. შემდეგ მან ისტორიულ კონტექსტში გადაამოწმა ლოგიკურად მიღებული დაშვებების სისწორე (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ემპირიული ფაქტები შეადარა მისი დაშვებიდან გამომდინარე მოსაზრებებს) და აღმოჩნდა, რომ ისტორიული ფაქტები ადასტურებს (ემთხვევა) ლოგიკურად მიღებულ მოსაზრებებს.

უშუალოდ ნოოლოგიის შესახებ – ის მიღებულია უზნაძის განწყობის ფსილოგიის[51] განვითარებით და მას აქვს 2 საწყისი:

- ფსიქიკური სტიქიების თეორია[52];
- ციკლური ლოგიკა.

---

[48] ხვიჩია, ე. (2020). ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა. გამომცემლობა „ახალი პარადიგმა“, თბილისი.
[49] ხვიჩია ე. “ოპტიმალიზმი - ახალი პარადიგმა”, http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page_46.html
[50] ხვიჩია ე., (2004), „ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია“
[51] უზნაძე, დ. (2009). განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. გამომცემლობა “საქართველოს მაცნე”.
[52] ხვიჩია ე., “ფსიქიკური სტიქიები”, http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page_12.html

**ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა ფენომენების დეფინიცია ფსიქიკური სტიქიების თეორიის მიხედვით:**

**ერი** – არსებობს 4 სხვადასხვა კლასის (ტიპის) და თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელია გარკვეული ძირითადი ფუნქცია (მითითებულია კვადრატულ ფრჩხილებში)[53]:

- ფორმის მანიის კლასი (ჩინელები, გერმანელები, ...) – [საწარმოო];
- ძლევის მანიის კლასი (რუსები, სერბები, ...) – [სამხედრო];
- ცხრომის მანიის კლასი (ამერიკელები, ფრანგები, ...) – [საფინანსო-სავაჭრო];
- მართვის მანიის კლასი (ქართველები, ირლანდიელები, ...) – [დანარჩენი სამი სხვა კლასის ერების წარდგენა ერთმანეთთან და მათ შორის თანხმობის პროცესების მართვა (მოდერაცია)].

აქედან პირველი სამი კლასის ერებს ახასიათებთ ინსტიტუციური თვითრეალიზაცია, ხოლო მეოთხე, მართვის მანიის კლასის ერები ძირითადად ახდენენ სხვა კლასების ერების ინსტიტუტების იმიტაციას.

**„პიროვნება“** – ეს არის ოთხიდან ერთ-ერთი კლასის ერის წარმომადგენელი ინდივიდი. **„ცივილიზაცია“** – ეს არის თვითრეგულირებადი, მდრადი საზოგადოებრივი გაერთიანება (სისტემა) და წარმოადგენს ოთხივე ტიპის ერთა სისტემურ ერთიანობას.

ნოოლოგიაში არსებობს თავისი, ალტერნატიული ტერმინები. მაგალითად, პიროვნების ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი **„ნოოიდი“**, ერის ნაცვლად – **„ნოოსი“**, ხოლო ცივილიზაციის ნაცვლად – **„ნოოცენოზი“.**

**პიროვნებებს და ერებს ახასიათებთ განვითარების შემდეგი საფეხურები:**

I საფეხური (ტოტემური); II საფეხური (მითოსური); III საფეხური (რელიგიური);

IV საფეხური (მეცნიერული).

**ციკლური ლოგიკის** მიხედვით დროით პერიოდებში დომინანტური ხდება ამა თუ იმ ერებისთვის (ძირითადად ერთი ან ორი სხვადასხვა კლასის ერებისთვის)

[53] უფრო დეტალურად სხვადასხვა კლასის ერების თვისებები მოცემულია დანართში №1.

დამახასიათებელი მიდგომები, ანუ პარადიგმები. ასეთ პერიოდებს ნოოლოგიაში ეწოდება ,,ნოოფილოგენეზის ფაზები“.

ციკლური ლოგიკის შესაბამისად, 1945-48 წლიდან მსოფლიო გვევლინება ერთ ცივილიზაციად, რომელშიც ფაზების ცვლა მიდიოდა შემდეგი სქემით :

